სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მებრძოლი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი

Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА" на грузинском языке

№ 45 (159) | კვირა, 7 მაისი | 1944 წ.

გამარჯვების სესხი

საბჭოთა მთავრობამ გამოუშვა მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხი ჩვენი სამშობლოსათვის ღირსშესანიშნავ და სასიხარულო დღეებში. უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით წითელი არმია ზედიზედ აღწევს გამარჯვებას. დიდებით მოსილი საბჭოთა პოლკები მიადგნენ ჩვენს სახელმწიფო საზღვრებს 400 კილომეტრზე მეტ მანძილზე. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან გაწმენდილია საბჭოთა მიწა-წყლის 3/4 მეტი.

ამ განსაკუთრებულმა წარმატებებმა ცხოველად ბრწყინვალე გამოხატულება ჰპოვეს მეთაურის საპირველმაისო ბრძანებაში. მთელს მსოფლიოში გაისმა ამხანაგ სტალინის ბრძნული სიტყვები წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებების შესახებ, საბჭოთა კავშირის მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის უდიდეს წარმატებების შესახებ.

სამშობლომ მაღალი შეფასება მისცა წითელი არმიის მეომართა გმირულ საქმეებს. ამის მჭერმეტყველური დადასტურებაა ახალი მედლების დაწესება მოსკოვისა და კავკასიის დაცვისათვის. ეს მედლები მკერდს დაუმშვენებენ სამამულო ომის უდიდესი ბრძოლების მონაწილეთ და ერთხელ კიდევ ცხადყოფენ, თუ რა სახელოვანი გზა გაიარა ჩვენმა წითელმა არმიამ.

სსრ კავშირის ხალხთა ნებისყოფა სამშობლოს მტრებზე სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის, ისე ურყევი არასოდეს არა ყოფილა. თითოეული საბჭოთა ადამიანი გამსჭვალულია უსაზღვრო მისწრაფებით—მიიღოს მონაწილეობა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურებაში. ამ მისწრაფების ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა წარმოადგენს საყოველთაო-სახალხო ხელმოწერა სახელმწიფო სესხზე.

ჩვენი ძლევამოსილი სოციალისტური სახელმწიფოს პატრიოტებს საუცხოოდ აქვთ შეგნებული, რომ სესხებით მიღებული სახსრები ხმარდება წითელი არმიის შემდგომ გაძლიერებას, ეს სახსრები დაგვეხმარება სახალხო მეურნეობის აღდგენაში იმ რაიონებში, სადაც დროებით პარპაშობდნენ გერმანელი დამპყრობნი, ეს სახსრები დაგვეხმარება იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა გახდეს კიდევ უფრო ძლიერი და შეძლებული.

აი ამიტომაა, რომ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებას მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის 25 მილიარდი მანეთის რაოდენობით გამოშვების შესახებ მთელმა ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი აღმავლობითა და სიხარულით შეხვდა. დადგენილების გამოქვეყნებისთანავე სამხედრო ნაწილებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგები. სესხზე ხელის მოწერა ხდება საყოველთაო-სახალხო დემონსტრაციად იმისა, რომ საბჭოთა ხალხი მზად არის არა მარტო ფრონტზე საბრძოლო საქმეებით და ზურგში თავდადებული შრომით, არამედ პირადი დანაზოგითაც მოაახლოოს მტერზე გამარჯვების ჟამი.

უდიდესი პატრიოტული აღმავლობით გამოირჩევა სესხზე ხელის მოწერა ჩვენი ფრონტის ჯარებში. მებრძოლები, სერჟანტები და ოფიცრები ესალმებიან ახალი სესხის გამოშვებას, ისინი გამოხატავენ მზადყოფნას სახელმწიფოს მისცენ თავიანთი დანაზოგი გამარჯვების დიადი საქმისათვის. სახელმწიფოს მიეცეთ სესხი სამი-ოთხი კვირის ხელფასის რაოდენობით—ასეთი ლოზუნგით დაიწყო სესხზე ხელის მოწერა. მაგრამ მებრძოლები და მეთაურები, ისე როგორც გასულ წელს, ხელს აწერენ თვიურ ხელფასზე და მეტზე.

როდესაც რადიომ ახალი სესხის გამოშვება გადმოსცა, ლეიტენანტ გრიგორიანის ასეულში გაიმართა მიტინგი. ამ ასეულის პირადი შემადგენლობა მონაწილეობას ღებულობდა კავკასიისათვის ბრძოლაში. გამოხატა რა დამსწრეთა აზრი, უფროსმა სერჟანტმა ივაკიანმა მიტინგზე განაცხადა:

— მალე ჩვენი ასეულის ჯარისკაცების მკერდს დაამშვენებენ მედლები „კავკასიის დაცვისათვის". მოხარულნი და ბედნიერნი ვართ, რომ სამშობლომ ასეთი მაღალი შეფასება მისცა ჩვენს მცირედ მეომრულ შრომას. მზადა ვართ სიცოცხლე შევწიროთ სამშობლოს ბედნიერებას, მტერზე გამარჯვების საქმეს. ხელს ვაწერ სესხზე თვიური ხელფასის 1.000 პროც. რაოდენობით. მე ვიცი, რომ ეს თანხა მოხმარდება ახალ ტანკებს, ტყვიამფრქვევებს, ქვემეხებს, რომ იგი აახლოებს გამარჯვების ჟამს.

განსაკუთრებული აღმავლობით ჩატარდა სესხზე ხელის მოწერა კაპიტან სამოილენკოს ქვეგანაყოფშიც.

სერჟანტმა ტკალენკომ სესხზე ხელი მოაწერა რა სამი თვის ხელფასის რაოდენობით, განაცხადა:—ჩვენი დანაზოგი—ეს ახალი ტანკებია, თვითმფრინავები, ქვემეხები, ეს ახალი დარტყმაა მტერზე. „ჩვენი სესხი — ეს გამარჯვების სესხია.

მეთაურებისა და პოლიტმუშაკების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ ამ უდიდეს აღმავლობას ჯარებში, ფართოდ გაშალონ საგიტაციო-პოლიტიკური მუშაობა სესხზე ხელმოწერასთან დაკავშირებით, მიაღწიონ იმას, რომ მთელმა პირადმა შემადგენლობამ მოაწეროს ხელი სესხზე, პატრიოტული აღმავლობა გამოიყენონ საბრძოლო მოვალეობების შემდგომ გაუმჯობესებისათვის.

მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის წარმატებითი გავრცელებით ერთხელ კიდევ დავამტკიცოთ ჩვენი უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი, რომელსაც ჩვენი ხალხი მიჰყავს საბოლოო გამარჯვებისაკენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე.

უდიდესი პატრიოტული აღმავლობით მიმდინარეობს ახალ სესხზე ხელმოწერა

არაფერს დავიშურებთ საყვარელი სამშობლოსათვის

მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის გამოშვების ცნობა ელვის სისწრაფით გავრცელდა ჩვენი ქვეგანაყოფის პირად შემადგენლობაში.

სახელდახელოდ მოწვეულ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა სერჟანტი ტყაკაძე. მან ილაპარაკა ახალი სესხის მნიშვნელობაზე და მოუწოდა თავის ამხანაგებს, მიიღონ მონაწილეობა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლების განადგურების საქმეში არა მარტო იარაღით, არამედ დანაზოგითაც.—არაფერს დავიშურებთ საყვარელი სამშობლოსათვის,—ამბობს იგი.—პირადად ხელს ვაწერ ახალ სესხზე 500 მანეთის რაოდენობით.

ლეიტენანტმა ცაგაძემ განაცხადა:
— ახალი სესხი არის ერთგვარ მტერზე საბოლოო გამარჯვების სესხი. ეს სესხი ხელს შეუწყობს სამხედრო ღონისძიებების წარმატებით დასრულებას და ამით მოაახლოებს ჰიტლერული ტირანიის სრული მოსპობის ჟამს.

მებრძოლები მეფარიშვილი, მესხიკულაშვილი და სხვ. მხურვალედ მიესალმნენ მთავრობის დადგენილებას ახალი სესხის გამოშვების შესახებ. მათ განაცხადეს, რომ მთელს თავიანთ ძალ-ღონეს და საშუალებებს მოახმარენ სამშობლოს კეთილდღეობას.

მიტინგის დამთავრებისთანავე დაიწყო სესხზე ხელმოწერა. მებრძოლთა უმეტესობამ სესხზე ხელი მოაწერა თვიური ხელფასის 1.000 პროცენტის რაოდენობით.

ეფრეიტორი ა. ხალუქვაძე

ხელს აწერენ კავკასიის დამცველები

ამ ასეულის მებრძოლები იცავდნენ კავკასიის მისადგომებს. მოზდოკის ტრამალებზე, ყაბარდოს აჭრელებულ ველებზე, ორჯონიკიძის კარიბჭესთან ისინი იცავდნენ საყვარელი სამშობლოს ღირსებას.

წინა დღით ლეიტენანტ გრიგორიანის ასეულმა დიდი სიხარულით მოისმინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედალ „კავკასიის დაცვისათვის" დაწესების შესახებ. გუშინ კი ამხ. გრიგორიანის მებრძოლები განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის გამოშვების შესახებ.

— არაერთხელ მიმიხდა გერმანელებთან ბრძოლა, — განაცხადა მიტინგზე რიგითმა მებრძოლმა ლ. კაგრამანიანმა. — ჩემმა ამხანაგებმა იციან, რომ ცუდი სნაიპერი არა ვარ. მაგრამ მე მსურს გერმანელებს ვურტყა არა მარტო ტყვიით, არამედ მანეთითაც. პირადად ხელს ვაწერ ახალ სესხზე თვიური ხელფასის 1.000 პროც. რაოდენობით.

დიდ სტალინს თითოეული ჩვენგანი ახსოვს. ის არ ივიწყებს მათ, ვინც თავის ვაჟკაცობითა და მოხერხებულობით გვეხმარება ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან საძულველი მტრის განდევნაში, — ამბობს უფრ. სერჟანტი ა. ავაქიანი. მალე ჩვენი ასეულის ჯარისკაცების მკერდს დაამშვენებენ მედლები „კავკასიის დაცვისათვის". მოხარულნი და ბედნიერნი ვართ, რომ სამშობლომ ასეთი მაღალი შეფასება მისცა ჩვენს მცირედ მეომრულ შრომას. მზადა ვართ ჩვენი სიცოცხლე შევწიროთ სამშობლოს ბედნიერებას, მტერზე გამარჯვების საქმეს. ხელს ვაწერ სესხზე თვიური ხელფასის 1.000 პროც. რაოდენობით. მე ვიცი, რომ ეს თანხა მოხმარდება ახალ ტანკებს, ტყვიამფრქვევებს, ქვემეხებს, რომ იგი აახლოებს გამარჯვების ჟამს.

ორი საათის შემდეგ ახალ სესხზე ხელმოწერის საერთო თანხა შეადგენდა ასეულის პირადი შემადგენლობის თვიური ხელფასის 400 პროცენტს.

(ჩვენი სპეცკორ.).

ახალი ტანკებისათვის, თვითმფრინავებისათვის, ქვემეხებისათვის

კაპიტან სამოილენკოს ქვეგანაყოფის რიგითი მებრძოლები, სერჟანტები და ოფიცრები უდიდესი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის გამოშვების შესახებ.

მიტინგის დამთავრებისთანავე დაწყებულ იქნა სესხზე ხელის მოწერა.

ქვეგანაყოფის პარტორგმა სერჟანტმა ტკალენკომ, რომელმაც სესხზე ხელი მოაწერა სამი თვის ხელფასის რაოდენობით, განაცხადა:—ჩვენი დანაზოგი — ეს ახალი ტანკებია, თვითმფრინავები და ქვემეხები, ეს ახალი დარტყმაა მტერზე.

ფრონტელებმა უფრ. სერჟანტმა ჩიკანოვმა და სერჟანტმა გოლორენკომ ხელი მოაწერეს 500 მანეთის რაოდენობით თითოეულმა და ეს თანხა იქვე ნაღდად შეიტანეს.

წითელარმიელებმა ივანოვმა, უგრიუმოვმა, სუხოვმა და სხვებმა ხელი მოაწერეს მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხზე 10 თვის ხელფასის რაოდენობით.

სესხზე ხელის მოწერა დამთავრდა ორი საათის განმავლობაში.

უფრ. ლეიტენანტი მ. იურენკო

ამხ. ივანოვის ქვეგანაყოფში შედგა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის გამოშვებას. სურათზე: ოცეულის მეთაური უფროსი სერჟანტი ი. კოლპაკოვი სიტყვას ამბობს მიტინგზე.

პოლკის ბოლშევიკები მსჯელობენ თავიანთ მომავალ ამოცანებზე

(Ნ ნაწილის პარტაქტივის კრებაზე)

ჩრდილში, სადაც პირტორგად უფროსი ლეიტენანტი ამხ. ჭილაია მუშაობს, შესდგა პარტიული აქტივის კრება. კრება ნიეძღვნა უმაღლესი მთავარსარდლის № 70 ბრძანებას და იმ ამოცანებს, რომელნიც დგანან პარტორგანიზაციის წინაშე ბელადის მითითებათა შესწავლის და განუხრელად გატარების საქმეში.

მომხსენებელმა კაპიტანმა ჭანუყვაძემ კრებას მოუთხრო სტალინური ბრძანების, ამ ისტორიული პოლიტიკური დოკუმენტის მნიშვნელობის შესახებ, რომელიც იძლევა წითელი არმიის გმირული წარმატებების მარქსისტულ-ლენინურ ანალიზს და განსაზღვრავს ჩვენი ბრძოლების პერსპექტივებს. ამხ. ჭანუყვაძე დაწვრილებით შეჩერდა № 70 ბრძანების ღრმა პროპაგანდისა და მის შესასრულებლად მასების მობილიზაციის საქმეში ათეული კომუნისტისა და პარტორგანიზაციის ამოცანებზე.

მომხსენების გარშემო გაიმართა ცხოველი კამათი. სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა—მახარაძემ, კვაჭაძემ, ლუბინინმა, ჭილაიამ, არევაძემ და სხვებმა აღნიშნეს, რომ ბელადის საპირველმაისო ბრძანებას მთელი პირადი შემადგენლობა შეხვდა უდიდესი საბრძოლო აღმავლობით და, რომ მის გამოქვეყნებისთანავე აქტივობის ახალი ტალღა. ამას მოწმობს მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ერთსულოვანი ხელმოწერა. გმირული წითელი არმიისა და ზურგის მშრომელების წარმატებებით აღფრთოვანებულმა ჩვენი პოლკის პირადმა შემადგენლობამ, გარდა ფულადი შეტანებისა, ხელი მოაწერა ხელი. პოლკის მებრძოლებმა ორი დღის განმავლობაში ნაღდად შეიტანეს 64 ათასი მანეთი.

სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა ყურადღება გაამახვილეს № 70 ბრძანების პროპაგანდისა და შესწავლის ორგანიზაციაზე. კრებაზე ერთსულოვნად ითქვა, რომ ლეიტენანტ ლომიძის მორიგელი ასეულის და ლეიტენანტ ძნელაძის მეტყვიამფრქვევეთა ასეულის კომუნისტების ცნერგიული მუშაობა. აქ კარგადაა ორგანიზებული ბრძანების ტექსტის კითხვა, ტარდება საინტერესო საუბრები წითელი არმიის წარმატებებზე, ზურგის მშრომელების ცხოვრებაზე, ხალხთა მეგობრობაზე, დიდ სამამულო ომში ბოლშევიკური პარტიის როლზე. კომუნისტების ინიციატივით და მათი უშუალო მონაწილეობით ამ ასეულებში კარგადაა მოწყობილი თვალსაჩინო პროპაგანდა. ბატონიზირად მუშაობენ აგრეთვე აგიტატორი ბათაძე, აგიტატორები ნიკაძე, გეგელაძე და სხვა, რომლებიც ინდივიდუალური საუბრებით ცდილობენ, რომ თითოეულმა მეომარმა შეისწავლოს სტალინური ბრძანების შინაარსი.

კრებაში გამოსულმა ამხანაგებმა საგანგებო ყურადღებით შეეხნენ ნაკლოვანებებსაც. კრებაზე გამოირკვა, რომ მთელ რიგ ქვეგანაყოფებში, განსაკუთრებით სამეურნეო და პატარა ქვეგანაყოფებში, ყველა მებრძოლი როდი სწავლობს საპირველმაისო ბრძანებას, ცუდადაა მოწყობილი თვალსაჩინო პროპაგანდა. ზოგიერთ ქვეგანაყოფში ბელადის საპირველმაისო ბრძანების შესწავლა არაა შეხამებული მისი შესრულებისათვის ბრძოლასთან.

პოლკის ბოლშევიკებმა დაადგინეს: ახალი ყოველდღიური მუშაობით და პირადი მაგალითით უზრუნველყონ ბელადის მითითებათა ღრმა შესწავლა და პრაქტიკულად შესრულება. პოლკის ბრძოლისუნარიანობის შემდგომი გაძლიერება და პირადი შემადგენლობის საბრძოლო ოსტატობის კიდევ უფრო ამაღლება.

მიღებულ დადგენილებაში პარტიულ აქტივის კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებები ბელადის საპირველმაისო ბრძანების ღრმად შესწავლისა და რეალიზაციის ორგანიზაციის საქმეში.

ლეიტენანტი Ნ. ღუღუაშვილი

სწავლობენ ბელადის საპირველმაისო ბრძანებას

ლეიტენანტ ლომთაძის ქვეგანაყოფის მებრძოლებმა, სერჟანტებმა და ოფიცრებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ამხანაგ სტალინის № 16 ბრძანების რეალიზაციის საქმეში. გვარდიელთა საბრძოლო გამოცდილების სწავლებაში ფართოდ დანერგვის საფუძველზე ქვეგანაყოფში ამაღლდა მებრძოლთა საცეცხლო მომზადების დონე, გაიზარდა სნაიპერთა რიცხვი. მთელი რიგი მებრძოლები, მათ შორის—მაჭრაძე, გოგიჩაიშვილი, ტარყაშვილი, თინიკაშვილი, ჯობაძე, კვახაძე და სხვები გახდნენ ზუსტი სროლის ოსტატები.

ქვეგანაყოფის საბრძოლო აღტყინება კიდევ უფრო გაიზარდა, როდესაც მებრძოლებმა და მეთაურებმა მიიღეს ბელადის საპირველმაისო ბრძანება. ამხანაგმა სტალინმა წითელი არმიის წინაშე დააყენა საბრძოლო ამოცანა—„საჭიროა კვალდაკვალ ვდევნოთ დაჭრილი გერმანელი მხეცი და მოვუღოთ მას მის საკუთარ ბუნაგში". მებრძოლებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ ბელადის ეს სიტყვები ჩვენი ბრძოლისა და გამარჯვების პროგრამაა. მათ პირველ დღიდანვე სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ამ ისტორიული ბრძანების ღრმად შესწავლას.

— კიდევ უფრო ავამაღლოთ ჩვენი საბრძოლო ოსტატობა, რათა გამანადგურებელი დარტყმა მივაყენოთ დაჭრილ გერმანელ მხეცს, — ასეთია ჩვენი ქვეგანაყოფის მებრძოლთა კოველდღიური ამოცანა.

რიგითი მებრძოლი Ი. ჭეიშვილი

ბელადის ბრძანება ჩვენი მოქმედების პროგრამაა

პირველ მაისს ჩვენ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მაღალი მაჩვენებლებით შევხვდით. ჩვენმა ქვეგანაყოფმა დიდი მუშაობა ჩაატარა ბელადის ბრძნულ მითითებათა განხორციელებისათვის. მეომართა საბრძოლო ოსტატობის ამაღლების მიზნით, ვაწარმოებთ გვარდიელთა საბრძოლო გამოცდილების შესწავლასა და პრაქტიკულად ათვისებას, საბრძოლო იარაღების ცოდნის სრულყოფას—ასე იწყებს აგიტატორი ამხ. გუნთაიშვილი თავის საუბარს მებრძოლებთან. — გიხარია ადამიანს, როცა თვალს გადაავლებ ნამუშევარს და გრძნობ, რომ მეტი რამ ახალი შეიძინე. ქმაყოფილებას განიცდი, ამიტომ კიდევაც, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი გაკეთებული? ჯერ მეტი გვაქვს ნაკლოვანება, ჯერ მეტი უნდა ვიშრომოთ, რომ შევძლოთ სახელი და დიდება მოვიპოვოთ იმ დიდი ამოცანის შესრულებაში, რომელსაც ამხანაგი სტალინი თავის საპირველმაისო ბრძანებაში გვისახავს. შემდეგ ამხანაგი გუნთაიშვილი მებრძოლებს უკითხავს ამხანაგ სტალინის ბრძანების ტექსტს, კრცლად ესაუბრება მათ თითოეულ საკითხზე, და უკავშირებს მას ქვეგანაყოფის წინაშე მდგომ მუშაობასა და მიმდინარე ამოცანებს. მებრძოლები ხულგანაბული უსმენენ აგიტატორს. ბელადის ბრძანება მათ პირველ მაისს დილითვე მიიღეს, თუ მაისს კი ქვეგანაყოფის მეთაურმა უფროსმა ლეიტენანტმა ვ. ჟღენტმა წყობილების წინ წაუკითხა ბრძანების ტექსტი. მაგრამ ერთი ან ორი წაკითხვა არ წაკითხვა როდი კმარა. ბელადის ყოველი სიტყვა ბრძნულია. მას ვაძლევ დასკვნების ღრმად შესწავლა უნდა. ამაში დარწმუნებულია თითოეული მათგანი და როდესაც ახლა უსმენენ აგიტატორის დაგავებულ, ცოცხალ ფაქტებზე აგებულ საუბარს, ბელადის სიტყვები ახალი, ღრმა და მიმზიდველია მათთვის.

ამხ. კიკვიძის ქვეგანაყოფის წვრილ ათეულში ყოველდღიურად მიმდინარეობს ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების ტექსტის შესწავლა. აგიტატორები ამხ. არჩვაიშვილი, მიქელაძე, ჩიჩუა და სხვები მებრძოლებს ესაუბრებიან ბრძანების გარშემო, მოუწოდებენ მათ საბრძოლო ოსტატობის შემდგომი სრულყოფისაკენ.

— დამიკრეთ მხეცი საკუთარ ბუნაგში უნდა მოვსპოთ. ეს ჩვენი უდიდესი ამოცანაა. ამ დიდ საქმეში მონაწილეობა ღირსების საქმეა. ეს ღირსება ჩვენ უსათუოდ მოვიპოვოთ. უნდა ვემზადოთ ამ დღისათვის, ვისწავლოთ შეუპოვრად, რაციონალურად გამოვიყენოთ თითოეული წუთი, ავამაღლოთ მეომრული ოსტატობა—აი, ჩვენი ყოველდღიური საქმეები. აგიტატორი ამხ. ბადრიძე ხვეწავს, რომ მებრძოლების შეგნებაში ამ ამოცანას, არა მხოლოდ ლაპარაკობს იგი, არამედ ხალისიანად, ძალ ენთუზიაზმით.

მებრძოლებმა იციან, რომ ეს ამოცანა რთულია, მაგრამ ენერგიული მუშაობით შესძლებენ მის დაძლევას. მათ აქვთ ამის პრაქტიკა. ამიტომაც უსმენენ ისინი აგიტატორის ჭკვიანურ, გამჭრიახობილი სახით და აღნიშნავენ მის ყოველ სიტყვას.

უფროსი სერჟანტი Შ. ესაკია

ხელმოწერა მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხზე

აგიტატორი უმცროსი ლეიტენანტი ფ. ოღოფოვი თავის ათეულში ატარებს ხელმოწერას მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხზე.

კავკასიისათვის ბრძოლების მონაწილენი ხელს აწერენ სესხზე

Ნ შენაერთში უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს ხელმოწერა მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხზე.

კავკასიისათვის ბრძოლების მონაწილენი ერთსულოვნად აწერენ ხელს ახალ სესხს.

— ბელადის საპირველმაისო ბრძანებამ და მედლის „კავკასიის დაცვისათვის" დაწესებამ აღმაფრთოვანა ახალი საგმირო საქმეებისათვის,—ამბობს უფროსი სერჟანტი მჭედლიშვილი. — მე მსურს დავეხმარო სახელმწიფოს ჩემი ფულადი სახსრებითაც. სესხზე ხელს ვაწერ 3.500 მანეთის რაოდენობით.

უფროსმა სერჟანტმა მჭედლიშვილმა ნაღდად შეიტანა 3.000 მანეთი.

თვიური ხელფასის 1000 პროცენტი

როგორც კი რადიომ გადმოსცა ცნობა ახალი სესხის გამოშვების შესახებ, მაშინვე შესდგა მიტინგი ჩვენს ნაწილში.

მიტინგზე სერჟანტმა ბოგდანოვმა განაცხადა:

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მანეთები გადაიქცევიან ყუმბარებად, რომლებსაც ჩემი მანქანით მივაწვდი ფრონტს. ჩვენი სახელოვანი არტილერისტები კი ამ ყუმბარებს თავზე დააყრიან ფაშისტ მხეცებს. ჩვენ სესხზე ხელმოწერით ვაახლოებთ მტერზე საბოლოო გამარჯვების ჟამს.

მიტინგის დამთავრებისთანავე დაიწყო სესხზე ხელმოწერა. უფროსმა სერჟანტმა კოლესნიკოვმა ხელი მოაწერა თვიური ხელფასის 1.000 პროცენტზე. ბევრმა სესხზე ხელმოწერის თანხა ნაღდად შეიტანა.

უფროსი სერჟანტი Ი. კრუგლიაკი

უდიდესი პატრიოტული აღმავლობა

ჩვენი ნაწილის პირადი შემადგენლობა უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდა ცნობას მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის გამოშვების შესახებ.

ქვეგანაყოფებში შესდგა მიტინგები. მებრძოლები და ოფიცრები თავიანთ გამოსვლებში სხვებისთვის მიესალმებიან საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებას.

— მე არა ერთხელ მიმიღია მონაწილეობა ბრძოლებში, მრავალი ფრიცი ღავჭოცე,—ამბობს ფრონტელი თსაძე. ახლა, გინდ დავეხმარო ჩემი მეკავშირის სპეციალობას, მსურს ჩემს სამშობლოს დავეხმარო მანეთებით. — ამხ. ოსაძემ ხელი მოაწერა 350 მანეთზე და იქვე ნაღდად შეიტანა 200 მანეთი.

ოფიცრების — მინჭრიკას, იცანოვისა და საველევას ქვეგანაყოფებში იმავე დღის საღამოს 7 საათისათვის ხელმოწერა დამთავრებული იყო.

ამხ. მანჭრიკას ქვეგანაყოფის პირადმა შემადგენლობამ თავის დანაზოგიდან ნაღდად შეიტანა 1.340 მანეთი. აქ ხელმოწერის თანხა ცხრაჯერ აღემატება თვიური ხელფასის თანხას.

რიგითმა მებრძოლმა მოისეევმა, რომელიც ამ დღეებში შეემგზავრება ფრონტზე, ხელი მოაწერა 100 მანეთზე და ეს თანხა ნაღდად შეიტანა.

ოფიცერ ხვერიუკოვის ქვეგანაყოფში მებრძოლებმა ხელი მოაწერეს 10 თვის ხელფასზე.

უმცროსი სერჟანტი Ა. გამიღლიძე

სესხზე ხელმოწერის ქრონიკა

განსაკუთრებული აღმავლობით ჩატარდა მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერა Ჴ ნაწილში. პირველად ახალ სესხს ხელი მოაწერეს რიგითმა მებრძოლებმა: ამხ. ნეპერიძემ — 500 მანეთზე, ამხ. მალიამ და იკოფიანმა—300 მანეთზე თითოეულმა, ამხ. შუშეიკომ—250 მანეთზე, ლუკბანოვმა—200 მანეთზე. სერჟანტმა რევიამ და ზემდეგმა პეტროვმა ხელი მოაწერეს 600 მანეთზე თითოეულმა.

* * *

Ნ ქვეგანაყოფში მხურვალედ გამოეხმაურნენ ახალი სესხის გამოშვებას. უფროსმა სერჟანტმა კრუგლიაკმა ხელი მოაწერა 1.400 მანეთზე, რიგითი მებრძოლებმა სალაყაიამ და უსოვსკიმ—თვიური ხელფასის 2.000 პროცენტზე თითოეულმა. სერჟანტმა ზაფერუხამ ხელი მოაწერა ხუთი თვის ხელფასზე.

* * *

უფროსი ლეიტენანტ იერჩენკოს ქვეგანაყოფის რიგითმა მებრძოლებმა ახალ სესხზე ხელი მოაწერეს 10 თვის ხელფასის რაოდენობით. ლეიტენანტმა კრიმკომ ხელი მოაწერა 2.000 მანეთზე, უმცროსმა ლეიტენანტმა ბერესტენკომ—1.300 მანეთზე. სერჟანტთა უმეტესობამ ხელი მოაწერა სამი თვის ხელფასზე.

* * *

Ნ საარტილერიო სასწავლებელში ამხ. ხინევიცის ქვეგანაყოფის კურსანტებმა ახალ სესხზე ხელი მოაწერეს 5-10 თვის ხელფასის რაოდენობით. ასეთივე წარმატებით ჩატარდა ხელმოწერა სხვა ქვეგანაყოფებშიც. კურსანტმა კულიშმა ხელი მოაწერა 700 მანეთზე და ნაღდად შეიტანა 200 მანეთი.

* * *

ამხ. იაკოვლევის ქვეგანაყოფში 30 წუთში დამთავრდა ახალ სესხზე ხელმოწერა. რიგითმა მებრძოლმა შკარბალაკმა ხელი მოაწერა 25 თვის ხელფასზე. ზემდეგმა ტკაჩუკმა ხელი მოაწერა 1.000 მანეთზე.

სამამულო ომის მესამე სესხი

ა. ზვერევი

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარი

* *

საბჭოთა მთავრობამ გამოუშვა მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხი 25 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

ახალი სესხი გამოდის ჰიტლერულ გერმანიისა და მის თანამონაწილეებზე წითელი არმიის დიდი გამარჯვებათა დღეებში. დიდებით მოსილი საბჭოთა ჯარები, რომლებიც ახორციელებენ გენიალურ სტალინურ სტრატეგიულ გეგმას, განუწყვეტელ დარტყმებს აყენებენ მტერს. წითელი არმია მიადგა ჩვენი სახელმწიფო საზღვრებს 400 კილომეტრზე მეტ მანძილზე. გერმანელ ფაშისტთა უღლისაგან განთავისუფლებულია საბჭოთა მიწა-წყლის 3/4-ზე მეტი.

ურყევია სსრ კავშირის ხალხთა ნებისყოფა გამარჯვებისა, უსაზღვროა მათი სიყვარული სამშობლოსადმი და სიძულვილი მტრისადმი. ეს გრძნობები აღაფრთოვანებენ საბჭოთა ადამიანებს სახელოვანი საქმეებისათვის, რაზედაც აღტაცებით ლაპარაკობს მთელი მსოფლიო. ფრონტზე მეომართა გმირობა ერწყმის პატრიოტთა შრომით საგმირო საქმეებს ზურგში. „წითელი არმიის წარმატებანი, — ამბობს ამხანაგი სტალინი 1944 წლის საპირველმაისო ბრძანებაში, — შეუძლებელი აღმოჩნდებოდა და ისინი ჩამოიშლებოდნენ მოწინააღმდეგის პირველივე სერიოზული კონტრდარტყმით, რომ წითელ არმიას ზურგს არ უმაგრებდეს მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი, მთელი ჩვენი ქვეყანა".

ყოველი საბჭოთა ადამიანი მონაწილეობას იღებს გერმანელ დამპყრობთა განადგურებაში არა მარტო თავისი თავდადებული შრომით, არამედ პირადი სახსრებითაც. როგორც სამშობლოსადმი სიყვარულის მძლავრი საყოველთაო-სახალხო დემონსტრაცია, ჩატარდა მთელს ჩვენს ქვეყანაში 1942-1943 წლებში სახსრების შეგროვება თავდაცვის ფონდისათვის და წითელი არმიის საბრძოლო ტექნიკის მშენებლობისათვის.

ეს პატრიოტული მოძრაობა ახლამდეც არ წყდება. იგი ფართოდ გაშლილა განთავისუფლებული რაიონების მცხოვრებთა შორის.

ომის განმავლობაში თავდაცვის ფონდსა და წითელი არმიის ფონდში შეიტანეს 14 მილიარდ მანეთზე მეტი ნაღდ ფულად, 4 მილიარდ მანეთზე მეტი სახელმწიფო სესხთა ობლიგაციებით, 12 კილოგრამი პლატინა, 127 კილოგრამი ოქრო, 9,5 ტონა ვერცხლი, 1,7 მილიარდი მანეთის ძვირფასი ნივთები, აგრეთვე დიდძალი პური, ხორცი, მატყლი და სხვა პროდუქტები.

წითელი არმიისათვის დახმარება მრავალფეროვანია და ფართო. საბჭოთა ადამიანები არაფერს არ ზოგავენ ჩვენი სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების განმტკიცებისათვის, მტერზე გამარჯვებისათვის. მთავრობის ყოველი ფინანსური ღონისძიება, ამ მიზნებისაკენ მიმართული, მხურვალე და ერთსულოვან მხარდაჭერას პოულობს ჩვენს ხალხში. ამ საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერის წყალობით მუდამ დიდი წარმატებით ტარდება სახელმწიფო სესხები. სესხებზე ხელისმომწერი მილიონები საბჭოთა კავშირის ხალხთა მზადყოფნაა დაიცვან თავიანთი სოციალისტური სამშობლო, დაიცვან მისი ღირსება და თავისუფლება, იბრძოლონ ჩვენი სახელმწიფოს ძლიერებისა და განმტკიცებისათვის. სტალინური ხუთწლედების მანძილზე, და განსაკუთრებით სამამულო ომის დროს, სესხები გადაიქცა საყოველთაო სახალხო საქმედ და ფართო წარმატებით ვრცელდებოდა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა შორის. ომამდე სესხებით შემოვიდა 49,8 მილიარდი მანეთი, ომის წლებში — 37,3 მილიარდი მანეთი და, გარდა ამისა, ფულადი და ნივთიერი ლატარიებით 7 მილიარდ მანეთზე მეტი.

1942 წელს 10 მილიარდი მანეთის რაოდენობით გამოშვებული პირველი სამხედრო სესხი ორი დღის განმავლობაში გავრცელდა. ხელისმოწერის საერთო თანხამ 32 პროცენტით გადააჭარბა გეგმით ნავარაუდევს.

საბჭოთა ხალხის უსაზღვრო პატრიოტიზმი, მისი ერთსულოვნება და მონოლითურობა, მისი ურყევი ნებისყოფა გამარჯვებისა განსაკუთრებული ძალით გამომჟღავნდა მეორე სამამულო სესხის რეალიზაციის დღეებში. ამ სესხის გავრცელება განსაკუთრებული წარმატებით მოხდა. მთავრობის მიერ 12 მილიარდი მანეთით განსაზღვრული თანხა გადაჭარბებით იქნა რეალიზებული ერთი დღე-ღამის განმავლობაში. მშრომელებმა 20.543 მილიონ მანეთზე მოაწერეს ხელი და ამრიგად 73 პროცენტით გადააჭარბეს გამოშვების თანხას.

ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო სესხთა ესოდენი ბრწყინვალე წარმატება იმით აიხსნება, რომ ეს სესხები ჭეშმარიტად მასობრივია და მთელი ხალხის ინტერესებს ემსახურება. რასაც სახელმწიფოს თავის დანაზოგს აძლევს, საბჭოთა პატრიოტმა იცის, რომ სესხი ამრავლებს სახელმწიფოს ძალასა და ძლიერებას, აუმჯობესებს წითელი არმიის საბრძოლო აღჭურვილობას, აჩქარებს ჩვენს გამარჯვებას.

ომი უდიდეს სახსრებს მოითხოვს.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი მოწოდებულია უზრუნველყოს სამხედრო საჭიროებისა და განთავისუფლებული რაიონების მეურნეობის აღსადგენი ხარჯების, აგრეთვე სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო ხარჯების შეუფერხებელი დაფინანსება. 1944 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია თითქმის 250 მილიარდი მანეთის რაოდენობით. ამ სახსრების ნახევარზე მეტი—128,4 მილიარდი მანეთი—განკუთვნილია თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის დასაფინანსებლად.

წელს მნიშვნელოვნად იზრდება ასიგნებანი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. ამ მიზნებისათვის გათვალისწინებული ხარჯები შეადგენენ 44,7 მილიარდ მანეთს — შარშანდელზე 13,5 მილიარდი მანეთით მეტს. ესოდენ დიდი მატება (43,7 პროცენტი), უწინარეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ საჭიროა უფრო სწრაფად აღდგენილ იქნას განთავისუფლებულ რაიონებში ჰიტლერელი ავაზაკების მიერ დანგრეული მეურნეობა. ამისათვის გათვალისწინებულია 16 მილიარდ მანეთამდე.

დიდი თანხა — 51,4 მილიარდი მანეთი გათვალისწინებულია სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა, სოციალური უზრუნველყოფისათვის, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის შემწეობისა და დახმარების მისაცემად და სხვ.

ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად სახელმწიფო ჰკრებს სახსრებს უმთავრესად სოციალისტური მეურნეობის — ჩვენი ბიუჯეტის ძირითადი სამემოსავლო წყაროს შემოსავლებიდან. მაგრამ ბიუჯეტში მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე მოსახლეობის სახსრები, მათ შორის მასობრივ სესხთა რეალიზაციით შემოსული სახსრები. წელს სესხით შემოსული თანხებით და ფულადი და ნივთების ლატარიის ჩატარებით გათვალისწინებულია დაიფაროს სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი ხარჯების დაახლოებით 12 პროცენტი.

ახალი სესხი, ისევე როგორც წინანდელი სამხედრო სესხები, შედგება ორი გამოშვებისაგან — მომგებიანი და პროცენტიანი გამოშვებისაგან. პირველი მათგანი ვრცელდება მოსახლეობაში, მეორე კი — კოლმეურნეობებსა და სარეწაო არტელებში.

სესხის ვადა 20 წელია. მომგებიანი გამოშვების შემოსავალი ანაზღაურებულ იქნება მოგებათა სახით. მათი საერთო თანხა საშუალოდ წლიურ 4 პროცენტს შეადგენს. მოგებები დაწესებულია 50 ათასი, 25 ათასი, 10 ათასი, 5 ათასი, 1 ათასი, 500 და 200 მანეთის რაოდენობით ასმანეთიან ობლიგაციაზე, ობლიგაციის ნომინალური ღირებულების ჩათვლით.

საბჭოთა სესხებს მარტო დიდი საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა როდი აქვთ: ისინი უშუალო პირად ინტერესსაც წარმოადგენენ ყოველი ხელისმომწერისათვის, რადგან მას უზრუნველყოფენ გარკვეული შემოსავლით მოგების სახით. ამ მიზნით ყოველწლიურად, 1945 წლიდან მოყოლებული, მოეწყობა ორი ტირაჟი. პირველი ხუთი წლის განმავლობაში ყოველწლიურად გათამაშდება 4.312.500 მოგება, რომლებითაც სესხის მფლობელნი საერთო რაოდენობით 1.150.700 ათას მანეთს მიიღებენ, რაც 5 წლის განმავლობაში შეადგენს 5.753.500 ათას მანეთს.

მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხი, უეჭველია, ღირსეულად მხურვალე მხარდაჭერას ჰპოვებს მშრომელთა ფართო მასებში. ჩვენი სამშობლოს ყოველი მოქალაქე მზადაა — მისცეს სესხად სახელმწიფოს თავისი სახსრები. მაგრამ ეს სრულიადაც როდი ნიშნავს, რომ საქმე თვითდინებაზე მიეშვას. ხელისმოწერის წარმატება დიდად იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად ენერგიულად და სათანადოდ იქნება დაყენებული ორგანიზაციული მუშაობა სესხის გასავრცელებლად.

პარტიულმა, საბჭოთა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო ორგანოებმა, ხელშემწყობმა კომისიებმა და სოფლსაბჭოების რწმუნებულებმა, აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ სესხზე ხელისმოწერა ერთსულოვნად და ორგანიზებულად ჩატარდეს, რომ ხელისმომწერთა რიგებში ჩაბმულ იქნას ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელი. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, ფართოდ უნდა გაიშალოს მასობრივი მუშაობა მოსახლეობაში. რაც უფრო თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად იქნება განმარტებული ახალი სესხის მნიშვნელობა და მიზნები, მით უფრო წარმატებით და უფრო სწრაფად ჩატარდება ხელისმოწერა, მით უფრო დიდი იქნება მისი შედეგები. ამასთან მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ კარგად ჩატარებული ხელისმოწერა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სესხის დარგში მთელი მუშაობის წარმატებით დამთავრებას. ამასთან ერთად საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას სესხის თანხების დროულად შეტანა.

ახალი სესხის გავრცელება ტარდება ლოზუნგით: „სამი-ოთხი კვირის ხელფასი მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხს!" ასეთივე ლოზუნგით მიმდინარეობდა სესხის რეალიზაცია შარშანაც. მაგრამ ძალიან ბევრმა მუშამ და მოსამსახურემ მაშინ გაცილებით მეტი თანხა მისცა სესხად სახელმწიფოს. შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ ერთი თვის ხელფასზე და მეტზე ხელისმოწერა წელს კიდევ უფრო მასობრივი მოვლენა გახდება.

ახალი სესხის წარმატებით გავრცელების დიდი შესაძლებლობა არის სოფლად. კოლმეურნე მასების გაზრდილი აქტივობა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით კოლმეურნეთა დიდი საბაზრო შემოსავალი ყველა პირობებს ქმნის იმისათვის, რომ სესხზე ხელისმოწერა სოფლად სწრაფად და ორგანიზებულად ჩატარდეს. უნდა ვიფიქროთ, რომ წარსული წლების მაგალითისამებრ ბევრი კოლმეურნე დიდ თანხებზე მოაწერს ხელს და ნაღდ ფულად შეიტანს ამ თანხებს. 1943 წელს კოლმეურნეთა უმრავლესობა ხელს აწერდა ათასიდან 5 ათასამდე მანეთის რაოდენობით, ბევრი კი 10, 25, 50, 100 ათასი მანეთისა და მეტი რაოდენობით. საბჭოთა პატრიოტების ამ შესანიშნავ ენთუზიაზმს ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი და მას უნდა გავაცნოთ მოსახლეობის ფართო მასებს.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სოფლის პირობებში ყველაზე უკეთესია სესხის სახსრების თვით ხელმოწერის დროს აღება. ხელისმოწერასთან ერთდროულად ობლიგაციების მთელი ღირებულების ანაზღაურება შეესაბამება სახელმწიფოს ინტერესებს და საკოლმეურნეო სოფლის ეკონომიურ შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ შარშან მეორე სამამულო სესხის გავრცელების დროს ბევრი რაიონის კოლმეურნეებმა ნაღდ ფულად შეიტანეს ხელისმოწერის მთელი თანხა. საკმარისია ითქვას, რომ მთელ ჩვენს ქვეყანაში პირველი ხუთი დღე-ღამის განმავლობაში კოლმეურნეებმა ხელისმოწერის მთელი თანხების 50 პროცენტზე მეტი შეიტანეს.

ამ პრაქტიკამ ფართო გავრცელება უნდა ჰპოვოს წელსაც. რაც უფრო ადრე შემოვა სესხის სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტში, მით უფრო სწრაფად იქნება ეს სახსრები გამოყენებული ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერების განსამტკიცებლად.

მესამე სამხედრო სესხი ვრცელდება აგრეთვე კოლმეურნეობებსა და სარეწაო არტელებს შორის მათი საერთო სახსრების ხარჯზე. ამისათვის გათვალისწინებულია პროცენტიანი გამოშვება. ჩვენს კოლმეურნეობებსა და სარეწაო არტელებს თავისუფალი სახსრები მოეპოვებათ, რაც მათ შეუძლიათ და კიდევაც უნდა მისცენ სესხად სახელმწიფოს. კოლმეურნეობათა და სარეწაო არტელთა გამგეობანი, რომლებიც თავიანთ წევრთა საერთო კრებებზე გადაწყვეტენ ამ საკითხს, ამით დიდ დახმარებას გაუწევენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საქმეს.

მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხი ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცების, ჩვენი მომავალი გამარჯვების სესხია. ამხანაგმა სტალინმა 1944 წლის საპირველმაისო ბრძანებაში წითელ არმიას, მთელ საბჭოთა ხალხს ამოცანად დაუსახა — გასწმინდონ ფაშისტ დამპყრობთაგან მთელი ჩვენი მიწა-წყალი, აღადგინონ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრები მთელ ხაზზე შავი ზღვიდან ბარენცის ზღვამდე და საბოლოოდ გაანადგურონ დაჭრილი გერმანელი მხეცი მის საკუთარ ბუნაგში.

„მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია, მთელი საბჭოთა ხალხი — ამბობს ამხანაგი სტალინი, — აღსავსეა გადაწყვეტილებით — დააჩქარონ მტრის განადგურება, მთლიანად აღადგინონ ფაშისტების მიერ დანგრეული მეურნეობა, გახადონ ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო ძლიერი და შეძლებული".

ახალ სესხზე ერთსულოვანი და ორგანიზებული ხელისმოწერით ჩვენი ხალხი ერთხელ კიდევ ცხადყოფს ჩვენი ძლიერი სამშობლოს ძალასა და სიმტკიცეს, საბჭოთა ადამიანების ერთიანობასა და ურყევ ნებისყოფას ჰიტლერელ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის, თავის უსაზღვრო სიყვარულს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, დიდი სტალინისადმი!

დნეპროძერჟინსკში. საბრძმედე საამქროს ღუმელი ძერჟინსკის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში.

აღდგენითი სამუშაოები ტრესტ „შახტანტრაციტის" ერთ-ერთ მაღაროში. ([illegible])

პრესის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება

5 მაისს წითელი არმიის თბილისის სახლში შესდგა წითელარმიულ გაზეთ „ბოევ რკა"-ს სამხკორთა, ავტორთა და მკითხველთა საზეიმო კრება, მიძღვნილი ბოლშევიკური პრესის დღის—5 მაისისადმი.

მოხსენებით გამოვიდა გაზეთ „ბოევ რკა"-ს პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე მაიორი ტრასკუნოვი.

მოხსენების შემდეგ წაკითხულ იქნა ფრონტის სამხედრო საბჭოს ბრძანება, რომლითაც პრესაში აქტიური მონაწილეობისათვის მადლობა გამოეცხადა საფრონტო გაზეთის ბევრ თანამშრომელს, დივიზიის გაზეთების რედაქტორებსა და აქტიურ სამხკორებს.

კრებას დასასრულს გამოვიდა ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების სარდალი, არმიის გენერალი ტიულენევი.

ოფიციალური ნაწილის შემდეგ გაიმართა კონცერტი.

„წითელი არმიის აგიტატორის ბლოკნოტი" № 3 ქართულ ენაზე

სსრ კავშირის თავდაცვის სახკომისარიატის სამხედრო გამომცემლობამ გამოსცა „წითელი არმიის აგიტატორის ბლოკნოტი" № 3 ქართულ ენაზე. ბლოკნოტში წარმოდგენილია შემდეგი მასალები: „სრულვყოთ საბრძოლო გაწრთვნილობა და კიდევ უფრო მაგრად ვცემოთ მტერს", გ. ლომიძე—„აგიტატორის ოცეული", ბატალიონის პარტორგის გვარდიის კაპიტან ჯორბენაძისა და გვარდიის უფროს სერჟანტ ხოსიტაშვილის გმირულ საქმეებზე არის დაწერილი წერილები „ხელჩართული ბრძოლა" და „ავტომატები". წარმოდგენილია აგრეთვე განყოფილება „სამხედრო მოხერხება", სადაც მოთავსებულია წერილი „სავარძო დუქი". გარდა ამისა, ბლოკნოტში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: „საქართველოს მშრომელნი ფრონტზე წითელი არმიის გამარჯვებებს აღნიშნავენ ზურგში საწარმოო გამარჯვებებით", შ. დადიანი — „გამარჯვება", ნაწყვეტები გრ. აბაშიძის პოემიდან „ალევის ქალი" და წერილი „ერეკლე II".

ბლოკნოტში წარმოდგენილი მასალები დიდ დახმარებას გაუწევენ ჩვენს აგიტატორებს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

5 მაისის ოპერატიულ ცნობიდან

5 მაისის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

4 მაისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 35 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 14 თვითმფრინავი.

* *

შავი ზღვის ფლოტის ხომალდები და ავიაცია უტევენ მოწინააღმდეგის გემებს

3 მაისს დღისით და ღამით ჩვენმა საჰაერო დაზვერვამ ღია ზღვაში აღმოაჩინა მოწინააღმდეგის ტრანსპორტების რამდენიმე ჯგუფი.

შავი ზღვის ფლოტის ხომალდებმა ბერძნული შეტევის დასაყრდენით ორჯერ დაარტყეს მოწინააღმდეგის გემებს. ტორპედებით ჩაძირულია ორი კარჭაპი და 3.000 ტონა წყალწყვის ტრანსპორტი.

ფლოტის ავიაცია დღისით და ღამით თანმიმდევრულად ერტყმოდა აღმოჩენილ მოწინააღმდეგის ტრანსპორტებსა და სხვა [illegible] საშუალებებს. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით ჩაძირულია 10.000-მდე ტონა საერთო წყალწყვის 4 ტრანსპორტი, ორი თვითმავალი სადესანტო კარჭაპი, მშრალი ტვირთის ერთი კარჭაპი და საგუშაგო კატერი. მოწინააღმდეგის ბევრი სხვა გემი დაზიანებულია.

6 მაისის ოპერატიულ ცნობიდან

6 მაისის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

5 მაისის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 62 თვითმფრინავი.

* *

შავი ზღვის ფლოტის ხომალდები და ავიაცია უტევენ მოწინააღმდეგის გემებს

4 მაისს დღისით და ღამით ჩვენი ავიაცია ძლიერ ურტყამდა მტრის გემებს შავ ზღვაში. ავიაციის მოქმედების შედეგად ჩაძირულია 3.000 ტონა წყალწყვის ტრანსპორტი და 2 საგუშაგო კატერი. მოწინააღმდეგის 2 სხვა ტრანსპორტი სერიოზულად არის დაზიანებული.

სევასტოპოლის დასავლეთით მდებარე რაიონში შავი ზღვის ფლოტის ტორპედოსანმა კატერებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის ბადრაგი. ტორპედების პირდაპირი მოხვედრებით ჩაძირულია 3 ტრანსპორტი 7 ათას ტონამდე საერთო წყალწყვისა და ორი თვითმავალი სადესანტო კარჭაპი.

ისწავლე რუსული ენა

СЧЕТ — ანგარიში

Один	ერთი	Тридцать	ოცდაათი
Два	ორი	Тридцать один	ოცდათერთმეტი
Три	სამი	Сорок	ორმოცი
Четыре	ოთხი	Сорок один	ორმოცდაერთი
Пять	ხუთი	Пятьдесят	ორმოცდაათი
Шесть	ექვსი	Шестьдесят	სამოცი
Семь	შვიდი	Семьдесят	სამოცდაათი
Восемь	რვა	Восемьдесят	ოთხმოცი
Девять	ცხრა	Девяносто	ოთხმოცდაათი
Десять	ათი	Сто	ასი
Одиннадцать	თერთმეტი	Первый	პირველი
Двенадцать	თორმეტი	Второй	მეორე
Тринадцать	ცამეტი	Третий	მესამე
Четырнадцать	თოთხმეტი	Четвертый	მეოთხე
Пятнадцать	ხუთმეტი	Пятый	მეხუთე
Шестнадцать	თექვსმეტი	Вдвоем	ორივე
Семнадцать	ჩვიდმეტი	Втроем	სამივე
Восемнадцать	თვრამეტი	Вчетвером	ოთხივე
Девятнадцать	ცხრამეტი	Впятером	ხუთივე
Двадцать	ოცი	Много	მრავალი (ბევრი)
Двадцать один	ოცდაერთი	Мало	ცოტა (მცირე).

საზღვარგარეთ

ამერიკული პრესა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ ი. ბ. სტალინის საპირველმაისო ბრძანების შესახებ

ნიუ-იორკი, 4 მაისი (ტასი). ამერიკის პროვინციული პრესა, ისე როგორც ცენტრალური გაზეთებიც, მხურვალედ მიესალმება უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ ი. ბ. სტალინის საპირველმაისო ბრძანებას.

დეტროიტის გაზეთი „ფრი პრესი" [illegible] ამხანაგ სტალინის ბრძანების იმ განყოფილებას, რომელშიც ნათქვამია, რომ მხოლოდ კომბინირებულ დარტყმას აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან შეუძლია სრულიად გაანადგუროს ჰიტლერული გერმანია, და სწერს: „[illegible] მთელი [illegible] მოუთმენლად და [illegible] განიხილავს [illegible] კაპიტულაციის [illegible] ბრძოლის [illegible] გაზეთი „პოსტ დისპეტჩი" აღნიშნავს, რომ კოორდინირებული დარტყმის თეორია [illegible] გერმანიის საბოლოოდ განადგურებისათვის [illegible]. „ვფიქრობ, — სწერს გაზეთი, — რომ [illegible] წარმოადგენს, მაგრამ [illegible] წლის ეფექტურ წილად გაძლიერებულია წითელი არმიის გამარჯვებათა მეოხებით. [illegible], რომლებსაც სტალინი [illegible] — სწერს გაზეთი, — წარმოადგენს არა მარტო [illegible], არამედ ყველა [illegible], განთავისუფლებული საბჭოთა მიწის [illegible] ახალი ძალი, წითელი არმიის მიერ [illegible] ახალი [illegible] განადგურება [illegible] და საბოლოო გამარჯვების მომენტს".

ფილადელფიის გაზეთი „ბიულეტინი" აღნიშნავს, რომ „სტალინის ბრძანება განთქმულია მოკლედ, პირდაპირ და არავითარ ეჭვიანობას არ შეიცავს". ვაშინგტონის გაზეთი „ივნინგ სტარი" აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სტალინმა რეალისტურად შეაფასა სამხედრო მდგომარეობა. „წითელი არმიის დარტყმების შედეგად, — სწერს გაზეთი, — ნაცისტური სამხედრო მანქანა კრახის წინაშე იმყოფება, მაგრამ სტალინი გაფრთხილებას იძლევა, გაგრძელებული ბრძოლის კიდევ მოგველის.

გაზეთი „კურანტი" (კონექტიკუტის შტატის ქალაქ ჰარტფორდში) სწერს, რომ სტალინი თავის ბრძანებაში რეალისტურად მიუდგა არა მარტო სამხედრო პრობლემებს, არამედ გერმანიის სატელიტების მდგომარეობის პოლიტიკურ პრობლემას. „სტალინის განცხადებას, — სწერს გაზეთი, — მხედველობაში აქვს თავისუფალი მთავრობის შექმნა, რომელთაც [illegible] და მათი მოკავშირენი და რომელშიც [illegible] იქნება ხალხი. ჩვენ მთელი სულით და გულით ვეთანხმებით ამ რეალიზმს".

ქართველი ხალხის გმირული წარსულიდან

ცოტნე დადიანი

ქართველი ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე წარმოებულ ბრძოლების ისტორიაში ბევრი თავდადებული გმირის სახელი გვხვდება. ამათ რიცხვს ეკუთვნის ცოტნე დადიანიც.

1225 წელს, როდესაც საქართველოს შუა აზიიდან მოსული ნიაღვრად ველური ტომები — ხვარაზმელები შემოესივნენ, ცოტნე დადიანი ქართველი მხედრობის მოწინავე რიგებში იბრძოდა თავისი რაზმით. ხვარაზმელები მომთაბარე მონღოლების ურიცხვმა ურდოებმა შეცვალეს. ორაგვარი ომების შედეგად დასუსტებული საქართველო ახლა ამ ძლიერ მტერს უნდა გამკლავებოდა. მაგრამ ამ დროს მონღოლთა საბრძანებელი დიდად გაერთიანებული და ძლიერი იყო. მათ დაიპყრეს მთელი აღმოსავლეთი ევროპა, წინა აზია, საქართველო და ამ ქვეყნების ხალხებს ძარცვა-გლეჯა დაუწყეს.

ქართველი ხალხი ქედს არ უხრიდა დამპყრობლებს და ძლიერი მტრის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას განაგრძობდა. საქართველოს ცალკეული კუთხეების მთავრებმა — ერისთავებმა ფარული შეთქმულება მოაწყვეს მონღოლების განსადევნად. ამ მიზნით ჯავახეთში, კოხტას თავზე, შეიკრიბნენ ცოტნე დადიანი, ეგარსლან ბაკურციხელი, ვარამ გაგელი, შანშე მხარგრძელი, გამრეკელ - თორელი, ყვარყვარე ჯაყელი და სხვები. აქ გადაწყდა, რომ მოეწყობილიყო ძლიერი აჯანყება საქართველოს განსათავისუფლებლად ურდოთა მონღოლებისაგან. დაინიშნა შესაკრები პუნქტი, სადაც უნდა მისულიყვნენ შეთქმულები თავიანთი რაზმებით. მაგრამ შეთქმულება, როგორც ჩანს გაცეს და მონღოლებმა მოულოდნელად შეიპყრეს შეთქმულთა უმრავლესობა. დაპატიმრებას გადაურჩნენ ცოტნე დადიანი და რაჭის ერისთავი, რომლებიც სხვებზე ადრე დაწინაურდნენ ჯარების შესაკრებლად. შეპყრობილნი წარუდგინეს ქართველთ ნოინს, რომელიც სომხეთში იდგა. შეთქმულნი განზრახვა არ გაამხილეს, რადგან მათ სიკვდილით დასჯა მოელოდათ, და ნოინს განუცხადეს, რომ ისინი მონღოლთა სასარგებლოდ ხარკის გაწერისათვის შეიკრიბნენ. ნოინმა ეს არ დაიჯერა და გადასწყვიტა, რომ ისინი სასტიკი წამების გზით გაეტეხა. შეთქმულები გააშიშვლეს და ხელფეხშეკრულნი მხურვალე მზის ქვეშ დაჰყარეს, მაგრამ ამაოდ: ისინი უშიშრად ელოდნენ სიკვდილს, მათი ნებისყოფა ოდნავადაც არ შერყეულა.

რამდენიმე დღემ განვლო. ცოტნე დადიანს უკვე ჯარი შეეკრიბა და შეთქმულების მიერ დანიშნულ ადგილას, რკინის ჯვართან, შეუმჩნევლად მისულიყო. მან მხოლოდ აქ გაიგო თავისი ამხანაგების ბედი, ჯარი დაითხოვა და ორი მხლებლითურთ სომხეთისაკენ გაეშურა. მან გადასწყვიტა თავის მოძმეებთან ერთად მომკვდარიყო, ან გაეთავისუფლებინა ისინი. სომხეთში მან შეთქმულთა წამების საშინელი სურათი ნახა. ისინი სიკვდილის პირამდე იყვნენ მისულნი: დანეთქილი, დაჭრილი ზურგი მზეზე ეწოდათ.

ცოტნე მიუახლოვდა წამებულთ, გაიხადა ტანისამოსი, მხრები შეიკრა და მათ ტანჯვას შეუერთდა. ასეთი საკვირველი მოქმედების შესახებ მონღოლმა მეთვალყურეებმა სწრაფად აცნობეს ნოინს:

— „ცოტნე დადიანი მოვიდა ორიოდ კაცით და განიძარცვა სამოსელი და შეკრული დაჯდა ქართველთა თანა".

ნოინმა ცნობილი ერისთავი თავისთან იხმო და ამ საქციელის მიზეზი გამოჰკითხა. ცოტნემ უპასუხა: ჩვენ კოხტას თავზე შევიკრიბეთ იმისათვის, რომ ხარკი გაგვეწერა, მაგრამ თქვენ ბოროტებად ჩამოგვართვით. ჩემი ამხანაგები უდანაშაულონი არიან, და თუ უდანაშაულოთა დასჯა გინდათ, მეც მათთან ერთად დამსაჯეთ.

ცოტნეს ასეთმა მოქმედებამ, შეთქმულთა შეუდრეკლობასთან ერთად, [illegible] განზრახვისადმი ეჭვები გაუფანტა [illegible] ისინი გაანთავისუფლეს.

ცოტნე დადიანის გმირობამ [illegible] სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მრავალი მებრძოლი.

შ. დუმბაძე

პ/მგ. რედაქტორი ი. ლავრუხინი
პ/მგ. რედაქტორის მოადგილე ვ. დარახველი

ბ—36449 რედაქციის მისამართი: ПОЛЕВАЯ ПОЧТА 33175-С